საქმე №2612-23 **26 დეკემბერი, 2023 წელი**

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის

გადაწყვეტილება

კომისიის თავმჯდომარე - რევაზ ბერიძე

კომისიის წევრები - სალომე გულუა, ირაკლი კუჭავა, ბერდია ახალბედაშვილი, ანა გვასალია

საჩივრის ავტორი - ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ / მოთამაშე იაგო ხაბულიანი (შემდგომში „მოთამაშე“)

მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში - „სრკ“) სადისციპლინო კომისია (შემდგომში - „სადისციპლინო კომისია“)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კლუბ წყალტუბოს „დინოზავრის“ მოთამაშე იაგო ხაბულიანს მიეცა წითელი ბარათი და დაეკისრა 10 (ათი) კვირიანი დისკვალიფიკაცია (შემდგომში „გადაწყვეტილება“).

აღწერილობითი ნაწილი

1. 2023 წლის 25 დეკემბერს საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის ელ. ფოსტაზე appeals@rugby.ge შემოვიდა საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება;

2. 2023 წლის 16 დეკემბერს ქ. თბილისში, ვაზისუბანში გაიმართა I ლიგის შეჯიბრი, სადაც მონაწილეობდა წყალტუბოს „დინოზავრი“ (შემდგომში „კლუბი“). კლუბის შემადგენლობაში იყო მორაგბე იაგო ხაბულიანი;
3. სადისციპლინო კომისიამ მატჩის ოფიციალური პირთა საითინგის, მსაჯის საითინგის, წითელი ბარათის ოქმის, მოთამაშის და სხვა პირთა გამოკითხვის შედეგად, დაადგინა კლუბის მოთამაშის მხრიდან სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის 9.28 (ბ) მუხლის დარღვევა, რომლის შესაბამისად „მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით“;
4. დადგენილი უდავო გარემოებაა [რაც დასტურდება როგორც მატჩის ოფიციალური პირების, ასევე მოთამაშის მიერ], რომ თამაშის დროს ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მოთამაშე და საჩივრის ავტორი, განმარტავს რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა [რეპლიკაც და გინებაც] იყო უმისამართო და არ იყო მიმართული მატჩის მსაჯის მიმართ, ხოლო მატჩის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო მსაჯის მიმართ;
5. საჩივრის ავტორი და მოთამაშე არ ეთანხმება ყვითელი ბარათის წითელი ბარათით შეცვლას, ასევე გამოყენებული სანქციის შესაბამისობას დარღვევის სიმძიმესთან და მიაჩნია რომ მისი ქმედების [აპელირება + გინება] ტოლფასი არ არის წითელი ბარათი;
6. საქმეში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები, ერთი მხრივ მატჩის ოფიციალური პირების განმარტებით როგორც რეპლიკა, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა [გინება] მიმართული იყო მსაჯის მიმართ, ხოლო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით როგორც რეპლიკა, ასევე გინება იყო უმისამართოდ ნათქვამი, მოედნიდან მოთამაშის გაძევების ფაქტზე რეაგირების შედეგი;
7. სადისციპლინო კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე იაგო ხაბულიანს არამართებული ქცევის გამო მიეცა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 10 (ათი) კვირის ვადით.

სამოტივაციო ნაწილი

1. საჩივრის დეტალური შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო კომისია უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ 2023 წლის 16 დეკემბერს გამართულ მატჩზე მოთამაშე იაგო ხაბულიანმა დაარღვია სადისციპლინო რეგულაციების დათქმები და თამაშის მიმდინარეობის დროს არაერთხელ გააკეთა რეპლიკა, ხოლო შემდგომ შეიგინა. ხაზგასასმელია, რომ დარღვევის ფაქტს როგორც მატჩის ოფიციალური პირები, ასევე საჩივრის ავტორი და მოთამაშე ადასტურებენ. მიუხედავად ამისა, სადავო გარემოებას წარმოადგენს ის ნაწილი, იყო თუ არა რეპლიკა/გინება მიმართული ოფიციალური პირების მიმართ. საქმეში არსებული ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების/ჩვენებების გამო რომელიც

ეხება სიტყვიერი შეურაცხყოფის ადრესატის ნაწილს, ვერ იღებს კომისია ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ვერ ადგენს გინება იყო უმისამართო თუ ვინმეს მისამართით. საქმეში არ არსებობს ვიდეო/ხმოვანი მტკიცებულება, რომელიც დეტალურად დაადგენდა ამ სადაო ფაქტის შესახებ ჭეშმარიტებას. კომისია, ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტების და იმ პირების დაკითხვის საფუძველზე, რომელებიც ვერ იქნებიან მიუკერძოებლები, რადგან წარმოადგენენ კლუბ „დინოზავრთან" ან/და საჩივრის ავტორთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ პირებს;

2. კომისია მართებულად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება რაგბის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობასა და პრინციპებზე. რაგბი ღირსეული ადამიანების სპორტად მიიჩნევა და მის ფუნდამენტალურ ფასეულობას წარმოადგენს პატივისცემა თანაგუდნელების, მოწინააღმდეგე მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირებისა და მაყურებლის მიმართ, რაც მეტად განასხვავებს რაგბს სპორტის სხვა სახეობებისგან. მსაჯები და მეთვალყურე არიან ის ძირითადი პირები, რომლებიც ახორციელებენ მატჩზე მომხდარი სადისციპლინო დარღვევების (თამაშის წესების და ქცევის კოდექსის) დაფიქსირებას და უზრუნველყოფენ დისციპლინარული დარღვევების შესაბამისი წესით მიწოდებას სრკ-ს სადისციპლინო კომიტეტისთვის შემდგომი რეაგირების მიზნით. მსაჯები არიან მიუკერძოებლები და არ არსებობს რაიმე მოტივი ან არგუმენტი, შეადგინონ ცრუ ინფორმაციის შემცველი ოქმები. მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ მორჩილება და პატივისცემა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ და მსოფლიო რაგბის მიერ აღიარებულ პრინციპებს. მატჩის ოფიციალური პირი (მსაჯი) წარმოადგენს რაგბის თამაშის განმსაზღვრელ და განუყოფელ ელემენტს, რომლის გარეშეც თამაში ფაქტობრივად შეუძლებელია, მათ თითოეულ გადაწყვეტილებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს თამაშის მიმდინარეობა და შედეგი. თამაშის სწორად და სამართლიანად გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თამაშის ნებისმიერი მონაწილისგან გამოხატული იყოს პატივისცემა მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ. მნიშვნელოვანია, მიუკერძოებლობის გამყარების თვალსაზრისით, ასევე უზრუნველყოფილი იყოს მატჩების მიმდინარეობის დროს ხარისხიანი ვიდეო გადაღება, რომ ყოველგვარი ბუნდოვანების/უნდობლობის და სხვა გარემოებების გამო, იდენტიფიცირებული იყოს რაგბის თამაშის ყველა მონაწილის ქმედება.

3. უდავოა, რომ მოთამაშის მხრიდან ადგილი ჰქონდა მატჩზე საკმაოდ უხეშ დისციპლინარულ გადაცდომას, რაც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის [მსოფლიო რაგბის სანქციები თამაშის წესების დარღვევისას] შესაბამისად, უნდა დაკვალიფიცირდეს და განისაზღვროს პროპორციული სანქცია. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დაკისრებული სახდელის რელევანტურობა და მისი გავლენა სამომავლოდ მოთამაშის კარიერაზე, სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას. სანქციის დარღვევის პროპორციულობასთან მიმართებაში განმარტავს, რომ სპორტულ სამყაროში დისკვალიფიკაციის დადგენის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოთამაშის სადისციპლინო ისტორიას და შემდგომ მის ასაკს.

მოთამაშეს აქვს სუფთა სადისციპლინო ისტორია [იხ. სადისციპლინოს კომისიის გადაწყვეტილება], რის საფუძველზეც სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ დარღვევისთვის გათვალისწინებული შუა ზღვარი შეამცირა 2 (ორი) კვირით. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის [მსოფლიო რაგბის სანქციები თამაშის წესების დარღვევისას] 9.28 (ბ) პუნქტით გათვალისწინებული სანქციები ითვალისწინებს ქვედა ზღვარს 6 (ექვსი) კვირის ოდენობით. განსახილველ შემთხვევაში, რადგან მოთამაშეს აქვს სუფთა სადისციპლინო ისტორია და ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ აქვს დრო სპორტული კარიერის სწორად, სადისციპლინო გადაცდომების გარეშე წარმართვის, სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ დაკისრებული სანქცია უნდა შეიცვალოს მცირედ და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

ა. მოთამაშისთვის მიცემული წითელი ბარათი დარჩეს უცვლელი;

ბ. სადისციპლინო სანქციად განისაზღვროს ქვედა ზღვარი 6 (ექვსი) სათამაშო კვირის ვადით, ამასთან სათამაშო კვირის შეზღუდვა არ ეხება კლუბ „ბაგრატსა“ და კლუბ „დინოზავრს“ შორის გადასათამაშებელ მატჩს, მიუხედავად იმისა მატჩი ჩაინიშნება თუ არა 6 (ექვსი) კვირიანი სათამაშო შეზღუდვის პერიოდში;

გ. 4 (ოთხი) კვირიანი პირობითი დისკვალიფიკაცია, რა გულისხმობს, რომ 6 კვირის ვადის გასვლის შემდეგ, დამატებით 4 (ოთხი) კვირის ვადაში, თუ მოთამაშე ჩაიდენს იგივე ან სხვა ნებისმიერი სახის სადისციპლინო გადაცდომას, ამ ახალი გადაცდომისთვის გათვალისწინებულ სანქციას დაემატება 4 (ოთხი) სათამაშო კვირიანი დისკვალიფიკაცია. პირობითი სანქციის ამოქმედების შემთხვევაში, დისკვალიფიკაცია გადაყვება მოთამაშეს მომდევნო სეზონშიც;

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო კომისიამ სრული შემადგენლობით გადაწყვიტა:

1. სააპელაციო დაკმაყოფილდეს დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და შეიცვალოს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება;
2. მოთამაშეს დაეკისროს სადისციპლინო სანქციები შემდეგი ფორმით:
   ა. მოთამაშისთვის მიცემული წითელი ბარათი დარჩეს უცვლელი;
   ბ. სადისციპლინო სანქციად განისაზღვროს ქვედა ზღვარი 6 (ექვსი) სათამაშო კვირის ვადით, ამასთან სათამაშო კვირის შეზღუდვა არ ეხება კლუბ „ბაგრატსა“ და კლუბ „დინოზავრს“ შორის გადასათამაშებელ მატჩს, მიუხედავად იმისა მატჩი ჩაინიშნება თუ არა 6 (ექვსი) კვირიანი სათამაშო შეზღუდვის პერიოდში;
   გ. 4 (ოთხი) კვირიანი პირობითი დისკვალიფიკაცია, რა გულისხმობს, რომ 6 კვირის ვადის გასვლის შემდეგ, დამატებით 4 (ოთხი) კვირის ვადაში, თუ მოთამაშე ჩაიდენს იგივე ან სხვა ნებისმიერი სახის სადისციპლინო გადაცდომას, ამ ახალი გადაცდომისთვის გათვალისწინებულ სანქციას დაემატება 4 (ოთხი) სათამაშო კვირიანი დისკვალიფიკაცია. პირობითი სანქციის ამოქმედების შემთხვევაში, დისკვალიფიკაცია გადაყვება მოთამაშეს მომდევნო სეზონშიც;
3. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

4. სააპელაციო კომისიის დებულების შესაბამისად, გადახდილი სადეპოზიტო თანხა არ ექვემდებარება შემცირებას/დაბრუნებას.